დალი ბეთხოშვილი

ღვთისმშობლის ხატ-სახე აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

მოკლე შინაარსი

ნაშრომში განხილულია ღვთისმშობლის ხატ-სახე აკაკი წერეთლის რამდენიმე ნაწარმოების მიხედვით, რომელთა მხატვრულ ქსოვილში ფართოდაა განფენილი მისი მადლიანი მფარველი კალთის ძალმოსილება და რწმენა გამძლეობისა, მუდმივი არსებობისა.

ქართულ მხატვრულ აზროვნებაში ბიბლიური სახეების გაცოცხლებას ხშირად მიმართავენ შემოქმედნი, რაც მათ მეტ შესაძლებლობას აძლევს მხატვრულ ქსოვილში სიღრმისეულად განასახიერონ ის სათქმელი, რომელიც ჩანაფიქრში აქვთ. ამ შემთხვევაში პოეტის სათქმელი ეხება მარიამ ღვთისმშობლის ხატ-სახეს, რომლის წარმოჩენას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აკაკის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში, რომლის ძალითაც კიდევ უფრო ცოცხლდება ადამიანში მარიამ ღვთისმშობლის ძალა, მისი მფარველი კალთის მადლი და უღვივდება რწმენა უკვდავებისა წარმავალ წუთისოფელში, რაც გამძლეობას ანიჭებს მას.

ზეციურისა და ამქვეყნიურობის, მარადიულისა და წარმავალის დამაკავშირებელია რწმენა რელიგიისა, რაც ხაზგასმულია უფალთან ერთად მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრილობის იდეის წინ წამოწევით მხატვრულ აზროვნებაში და, აქედან გამომდინარე, ღვთისმშობლის ხატ-სახის მხატვრულ სიტყვაში მეტი სიღრმისეული განფენით, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ ტანჯვის შემამსუბუქებელი და განმაქარვებელი მარიამ ღვთისმშობლის მფარველი კალთაა, რომელიც მუდამ იცავდა თავის წილხვედრ საქართველოს.

აკაკი წერეთლის მხატვრულ ნააზრევში გაცოცხლებულია საქართველოს და ქართველი ერის მუდამ მფარველის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატ-სახე, რომლის შემწეობით და თანადგომით ქართველი ადამიანი უმკლავდებოდა მრავალ განსაცდელს, გაუძლო საუკუნეებს და სამარადისო ცხოვრების მკვიდრობის შესაძლებლობის რწმენით გაძლიერდა, რაშიც ქართული მწერლობის ნიმუშებმა, ბიბლიასთან ერთად, უდიდესი როლი შეასრულა ადამიანის ცნობიერების სხვაგვარად ჩამოყალიბებაში და უკეთესი გზის დასახვის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, მარიამ ღვთისმშობელი, ღვთისმშობლის მფარველი კალთა, ღმერთი, იესო ქრისტე, „პატარა კახი“, „ნათელა“, „თამარ ცბიერი“, „ქართველი ქალი“, „განთიადი“, „ლოცვა“.

Dali Betkhoshvili

THE ICON-FACE OF THE VIRGIN MARIAM IN AKAKI TSERETELI'S WORKS

Abstract

The work discusses the iconography of the Virgin Mariam according to Akaki Tsereteli's works, whose artistic tissue is widely distributed by her powerful protector and faith in endurance and constant existence.

In the Georgian artistic thinking the creators often reshape the biblical forms which give them a great chance to express in depth in the artistic tissue that they have in mind.

In this case, the story of the poet is related to the icon-face of the Virgin Mariam, which has a significant place in Akaki's works of different genres, which will further strengthen the power of the Virgin Mariam, the grace of her patron, and the faith in the immortal world that enables her to endure.

The belief of the religious is the connector of the heaven and the world, eternity and transition which is highlighted in putting ahead the idea of Virgin Mariam's interest in the artistic thinking which indicates that the Mariam, Mother Goddess always protected her land -Georgia.

The icon-face of Virgin Mariam who is a protector of the Georgian people is set out in Akaki Tsreteli's artistic thinking. With her help and support Georgia always fought against trials, it has survived for many centuries and strengthened with the faith of eternal life . The samples of Georgian writing, along with the Bible, played the largest role in establishing the human consciousness in a different way and in seeing the better way.

Key words: Akaki Tsreteli, Virgin Mariam,The God, Jesus Christ, „Patara Kakhi", „Natela, „Tamar Tsbieri (Stealth)", the „Georgian woman", „dawn", „praying".

ქართულ მხატვრულ აზროვნებაში ბიბლიური სახეების გაცოცხლებას ხშირად მიმართავენ შემოქმედნი, რაც მათ მეტ შესაძლებლობას აძლევს მხატვრულ ქსოვილში სიღრმისეულად განასახიერონ ის სათქმელი, რომელიც ჩანაფიქრში აქვთ. ამ შემთხვევაში პოეტის სათქმელი ეხება მარიამ ღვთისმშობლის ხატ-სახეს, რომლის წარმოჩენას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აკაკის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში, რომლის ძალითაც კიდევ უფრო ცოცხლდება ადამიანში მარიამ ღვთისმშობლის ძალა, მისი მფარველი კალთის მადლი და უღვივდება

რწმენა უკვდავებისა წარმავალ წუთისოფელში, რაც გამძლეობას ანიჭებს მას.

ღვთისმშობლის სახის გააზრებას მივყავართ იმ დაუსრულებლობისაკენ, მარადიულისაკენ, რასაც უფალი უსახავს მუდამ ადამიანს და შეახსენებს იმ უძლეველ ძალას, რასაც სიყვარული ჰქვია, რამეთუ მისი რწმენის გარეშე ნებისმიერი რამის წვდომა კი არა, უბრალოდ წარმოდგენაც კი შეუძლებელია; თითქოს სიყვარულმა შთანთქა და დაიმორჩილა ყოველივე, თავის საფარქვეშ მოაქცია სხვა უმთავრესი ღირებულებები, მაგალითად, რწმენა, სასოება... გავიხსენოთ პავლე მოციქულის ეპისტოლე: „ხოლო აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროჲს ამათსა სიყუარული არს“ (I კორ. 13, 13). სწორედ უფლისაგან მომდინარე სიყვარულის წყალობით ხდება ღვთისმშობლის სახესთან ზიარება, შერწყმა და გათავისება იმისა, რომ ის არის მთავარი, რამაც თითოეული ადამიანი ჩაახედა საკუთარი სხეულის სიღრმეში დასადგურებულ ამოუცნობ ტკივილებში, გააზრებინა იგი და ამით აზიარა სულიერებას, რომელიც არის მარადიული, დაუსრულებელი და დაუსაზღვრელი.

ღვთისმშობლის სახე იმდენად ტევადია და მრავლისმომცველი, რომ სიტყვაკაზმულ მწერლობაში რაც უნდა მაღალმხატვრული სიტყვით იყოს გადმოტანილი, მაინც ვერ შეიძლებს სრულყოფილად მისი სახის ახსნას და გადმოცემას, მაგრამ ადამიანის გონების სულიერის მიუწვდომლობას ცოტათი მაინც ამოავსებს, სიწმინდით აღამაღლებს, მადლს მოჰფენს და იდუმალისა და მისტიურობის ირეალობას აზიარებს, რის გარეშეც თვით ამქვეყნიური ცხოვრების არსის გაცნობიერებაც შეუძლებელია, რადგან მიწიერი ყოფა განუყოფელია სულიერი ცხოვრებისაგან, რომელიც დასახა შემოქმედმა და განხორციელდა ერთარსება სამი პირის მიერ და, მათ შორის, განუყოფლად მოიაზრება, რა თქმა უნდა, მარიამ ღვთისმშობელი, მისი მარადიული ხატ-სახე.

ღვთისმშობლის სახის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია არის მოცემული ქართულ მწერლობაში, მაგრამ მისი ხატ-სახე ერთია და მთელი სიღრმით გაცხადებული და ადამიანის გონების მიერ აღქმული, გააზრებული და გადმოტანილი ამქვეყნიურობაში, უპირველესად, იმიტომ რომ, მიწიერმა გაითავისოს ის ტკივილი, ხვედრი და მისია, რაც მას ხვდა წილად და ადამიანი წაიყვანოს, მუდმივად მიაბრუნოს სულიერი სიღრმეებისაკენ და შეაცნობინოს მისი არდავიწყება; აქვე შეგვიძლია ზოგადად აღვნიშნოთ, რომ მისი სახე სხვადასხვა სიმ-

ბოლოს მეშვეობით გაიაზრება, კერძოდ: „მაყუალი“, რომელიც ბიბლიური მოსეს ალმოდებული ეკლის ბუჩქის ჰიპოდიგმიდან გამომდინარეობს (გამოსლვ. 3,2), რომელიც „ფართოდ არის გავრცელებული ქრისტიანულ მწერლობაში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული მწერლობისათვის მისი დაკავშირების გამო წმიდა ნინოს სახელთან“ (ბეზარაშვილი, კული, 2000: 56); „ეკლის ბუჩქი“, „მაყუალი სულიერი, რომელი ეჩუენა მოსეს მთასა სინასა მოტყინარე შეუწველად, სახედ შენდა გამოჩნდა, ღმრთისმშობელო ქალწულო“ (გერმანე პატრიარქი, ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი; ბეზარაშვილი, 2000: 67). „მაყვლოვანის“ სახე წარმმართველია „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“, რამდენადაც იგი მოვიდა ღვთისმშობლის ნაცვლად და მისი ბრძანებით განსანათლებლად და საქადაგებლად საქართველოში, ამდენად, ამ სახეში გაერთიანებულია მიწიერი და ზეციური, ჰიპოდიგმურ-პარადიგმატური მიმართება ღვთისმშობელსა და წმ. ნინოს შორის; გარდა ამისა, როგორც ქ. ელაშვილი წერს, ორ უძველეს სასულიერო ძეგლში „წმიდა შუშანიკის წამება“, „წმიდა ნინოს ცხოვრება“ მცენარეთა (მაგალითად, მაყუალი) და საკუთარ სახელთა („შუშანიკ“) ქრისტიანული სახისმეტყველების საფუძველზე იკვეთება ღვთისმშობლის სიმბოლური სახე. „მაყვლოვანში“ იგულისხმება ღვთისმშობელი ან ღვთისმშობლისგან „ხელდასხმულნი“, როგორც ეს არის მინიშნებული „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ (ელაშვილი, 2000: 45). „წმინდა ნინო იყო „დედა“ ქართლის მკვიდრთა, მათი სულიერი დედა, ალბათ, ძირითადად ესეც ღვთისმშობლის ანალოგიიდან მომდინარეობს“ (სირაძე, 1997: 106).

„იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „გამოეცხადა ანგელოზი ღმრთისაჲ ცეცხლითა მაყულოვანსა მას შინა, საიდუმლოჲ ქალწულისაჲ, და ზარგანჴდილი მოვიდა ხილვად“ (ძეგლები, 1963: 193).

გარდა მცენარეული სიმბოლიკისა, ღვთისმშობლის სახე შეიძლება გამოიხატოს წმინდანთა სახელებშიც, მაგალითად, „წმინდა შუშანიკის წამებაში“ იაკობ ხუცესი წერს: „...მამისაგან ვარდან და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისაჲ“ (ძეგლები, 1963: 11). ე.ი. ამ სახელში ჩატეულია სიწმინდე და უფლისმიერი სიყვარული. სიწმინდე კი ღვთისმშობელზე არის მინიშნება. „შუშანიკ“ ნიშნავს „წყლის შროშანს“, „შროშანი“ კი ქრისტიანულ კულტურაში ასოცირდება ღვთისმშობელთან... ისიც ბუნებრივია, რომ პირველი მარტვილი ქალი სწორედ ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოთი უნდა შემოსულიყო ქართულ ჰაგიოგრაფიაში, როგორც ეს მოხდა შუშანიკის შემთხვევაში (ელაშვილი, 2000: 46, 47).

ღვთისმშობლის სახე წარმოჩნდება ძველი აღთქმისეული სიმბოლოებით: „კუერთხი ძირისა იესესი“ (ესაია, 11, 1), „სადგური ღმრთისა იაკობისი, „ადგილი წმიდაჲ ყოვლად წმიდისა სიტყჳსაჲ – „სახლი ღმრთისაჲ“ და „ბჭე ზეცისაჲ“ (დაბ. 28, 17).

იოანე დამასკელი გარკვეულ ადგილს უთმობს ღვთისმშობლის სიმბოლური სახეების ჩვენებას, ის არის: „კიბე იაკობისა“ – სულიერი კიბე, შემაერთებელი ცისა და ქვეყნისა, „მთაჲ ღმრთისაჲ, იგივე „მთაჲ სინაჲ“ – სულიერი მთა, რომლისგანაც ღვთის „სიტყვის“ განკაცება მოხდა. იოანე დამასკელი იყენებს აგრეთვე ღვთისმშობლის სახის ტრადიციულ ეპითეტებსა და მეტაფორებს: „ასული შუენიერებისა და სიტკბოებისაჲ“, „შროშანი სულნელებისაჲ“, „ვარდი საწადელი“, „ასული სიწმიდისაჲ“, „ასული ადამისი“, „დედა ღმრთისაჲ“, „ასული კურთხეული“, „ევაჲს აღმართებაჲ“, „ვენახი რქაშუენიერი, „ძეგლი საღმრთოჲ სულიერი“, „ტაძარი ღმრთისაჲ“, „ცათა მიმსგავსებული ეკლესიაჲ“, „დედოფალი დაბადებულთაჲ, „კარავი ღმრთივ-შემზადებული და ბჭეჲ ნათლისაჲ“, „ტრაპეზი ღმრთივდაგებული“, „ბეჭედი საუფლოჲ“, „წიგნი დაბეჭდული“, „სძალი რჩეული“ და მრ. სხვ. (ძველი მეტაფრასული კრებულები, 1986: 105-125). ს. მახარაშვილის აღნიშვნით, „წმინდა ქალწულის დაბადება მომასწავებელია ქვეყნის კურთხევისა და კაცობრიობის გამოხსნის დასაწყისისა. იგი ნიშანია ევას მიერ წაწყმედილი, ცოდვით დამძიმებული ადამის მოდგმის განახლებისა, რადგან მარიამისაგან იშვება ძე ახალი, ძე ღვთისა, რომელიც აღადგენს დარღვეულ სულიერ კავშირს მიწასა და ზეცას შორის“ (მახარაშვილი, 2000: 77).

ღვთისმშობლის ხატ-სახე ყველაზე მკვეთრად და ნათლად გამოკვეთილია გიორგი მთაწმიდლის ნაწარმოებში „იოანესა და ეფთუმეს ცხოვრება“ (ძეგლები, 1963). გიორგი მთაწმიდელი გვაუწყებს, რომ, როდესაც ახალგაზრდობისას ეფთვიმე ავად იყო და სიკვდილს იყო მიახლებული, ნეტარი იოანე იტყოდა: „სასოება წარვიწირე ცხორებისა მისისა...შეშფოთებულ ვიყავ, წარვედ ტაძარსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და დავვარდი წინაშე ხატსა წმიდისა დედოფლისასა და ცრემლითა მხურვალითა ვევედრებოდე უხრწნელსა მარადის ქალწულსა ღმრთისმშობელსა, რათა შემწე ეყოს და ყოს ლხინება...რამეთუ იქმნა მოხედვა წმიდისა ღმრთისმშობელისა...“ (ლოლაშვილი, 1978: 239). აგრეთვე გიორგი მთაწმიდელი მკვეთრად შეგვახსენებს მარიამ ღვთისმშობლის მფარველობის იდეას: „...წმიდამან ღმრთისმშობელმან ჩვენ გლახაკთა გვიბოძა დიდებული იგი დიდებისა თვისისა ტაძარი და ყოვლადვე გვიღვწის და გვფარავს უღირსთა ამათ და უცხოთა მადიდებელთა და სამწყსოთა თვისთა“ (ლოლაშვილი, 1978: 267).

ღვთისმშობელმა აღხოცა ევას მიერ დანერგილი პირველ-ცოდვა, თავად იტვირთა ცოდვებისაგან განძარცვა, განწმენდა კაცობრიობისა, რაც განხორციელდა მისი ძე-ღმერთით, რომელიც, როგორც ღვთისმშობლის მიერ შობილი, ქალწულებრივი, უცოდველი სხეულით არის მოსილი. „ადამის ხსნაო და ევას აღდგომაო“, – წერს იოანე შავთელი საგალობელში „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი“ (ლოლაშვილი, 1978: 549).

ღვთისმშობლის ხატ-სახის წარმოჩენის ტრადიცია თვალნათლივ გამოკვეთილია საერო მწერლობაშიც, რისი დადასტურებაა აღორძინების ეპოქის მწერლობა, კონკრეტულად კი აკაკის ერთ-ერთ წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ თეიმურაზ პირველი, რომელმაც პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ (თეიმურაზ პირველი, 1934) ღვთისმშობლის სახე დედის მოწამეობრივი ღვაწლის გადმოცემისას წარმოაჩინა, ალბათ, იმიტომ, რომ ქეთევანი დედოფალი იყო და მასაც მნიშვნელოვანი მისია ჰქონდა დაკისრებული ქვეყნის და ერის წინაშე. ვფიქრობთ, თეიმურაზ I-მა დედის სახეში ღვთისმშობლის მონაცვლეობა დაინახა და ამიტომაც ასე მეტყველად და შთამბეჭდავად წარმოაჩინა დედის სახე. ავტორი წერს:

„იესოვ, შენ გევედრები, მარიამ ქრისტეს დედაო,
აბრამ, ისაკ და იაკობ, ელია–ამაზედაო,
ფრიადნი სევდა-ნაღველი დამერთო ზედი-ზედაო,
იმ თქვენი ღვთის გულისათვის მიშველეთ ამაზედაო!“ (სტრ. 5, 1-4). თვით ქეთევან წამებული საკუთარ ლოცვის სტრიქონებში ვედრებას გამოხატავს შემოქმედი ღმერთისა და დედა ღვთისმშობლისადმი:

„ჰე, მეუფეო, გვედრივარ მერმესა მას აღდგომასა,
ბრძენთა შემრაცხე ქალწულთა, ღირს მყავ მარჯვენით დგომასა.
იოვანე ნათლისმცემელს, ან მიმაბარე თომასა,
დედაო მაცხოვრისაო, მიმწიე ჩემსა ნდომასა“ (სტრ. 41, 1-4).

მწერალი, შემოქმედი მხატვრული სიტყვით თითქოს ეჭიდება იმ სათქმელს, რისი გადმოცემაც სურს, თანაც ისე, რომ უფრო ახლობელი და მისაწვდომი იყოს მოკვდავი ადამიანისათვის. გონებაში გატარებული, გარდაქმნილი სათქმელი ქაღალდზე გადმოტანილი, მხატვრულად შეფერადებული, ჭეშმარიტებასთან არის ნაზიარები და სახე-იდეის, ხატ-სახის წვდომის მეტ შესაძლებლობას იძლევა. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, სადაც ვკითხულობთ, რომ მხლებლების თხოვნაზე, ქეთევანმა თავი აარიდოს სატანჯველს და თავისიანებს ნუ მიატოვებს (სიკვდილის შემთხვევაში), წმიდა ქეთევანი პასუხობს:

„მზემან მხლებელთა უბრძანა: „ჟამ ერთ აწ ეწამენითა,
ქრისტეს იესოს ღვთის მადლსა, მოდით, თქვენც ეწამენითა,
თუ არ ეწამოთ, ნუ წახვალთ, აქ დამემოწამენითა.

ვა ქაღალდისა მოთქმანი, ვითა ვთქვა აწ ამ ენითა“ (სტრ. 52, 1-4). ქეთევანი სთხოვს, მისი მოწამეობის მოწმენი მაინც იყვნენ, როგორც იესო ქრისტეს ჯვარზე გაკვრის და წამების მოწმე იყო ერი, და ის გულისტკივილი, რაც მის არსებაში ტრიალებდა, ენასაც გაუჭირდება გამოთქმა და, მით უმეტეს, ქაღალდიც ვერ დაიტევს მას; ქაღალდად ამ შემთხვევაში ყველაფრის მტვირთველი გულიც ივარაუდება, იმ ტვირთისა, რაც ადამიანის ტკივილსა და სიხარულთან არის დაკავშირებული.

ღვთისმშობლის სახის გააზრებას უდროობასა და ზესივრცეში გადაჰყავს ადამიანი და შეაცნობინებს და უღვივებს რწმენას ღმერთთან დაბრუნებისა და ცხოვნებისა, უნერგავს და უძლიერებს ღმერთთან განუყოფლობის რწმენას, ეს კი ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სულიერ სამყაროზე, სრულქმნის განწყობას ქმნის ადამიანის არსებაში; ადამიანი, როგორც ერთი მთლიანი სამყარო – სულიერ-ხორციელის გაერთიანება, ქმნის ასევე ერთ მთლიანობას ღმერთთან, ღვთისმშობელთან, უფალთან. ეს უნივერსალური კანონი მოიცავს სიკვდილისა და სიცოცხლის, სიყვარულისა და სიკვდილის ცნებებს.

აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ ღვთისმშობლის ხატ-სახის წარმოჩენას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი, ფაქტობრივად, ამ საკითხის წარმოჩენაა უფრო მეტად, მაგრამ ის გაანალიზებული მაქვს ადრინდელ ნაშრომში, ამიტომ ამჯერად სხვა რამდენიმე ნაწარმოების მიხედვით გავაანალიზებ, თუმცა უნდა ითქვას, რომ აკაკის მხატვრული შემოქმედება დატვირთულია ღვთისმშობლის ხატ-სახის და სხვა ბიბლიური პერსონაჟების წარმოჩენით.

ზეციურისა და ამქვეყნიურობის, მარადიულისა და წარმავალის დამაკავშირებელია რწმენა რელიგიისა, რაც ხაზგასმულია უფალთან ერთად მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრილობის იდეის წინ წამოწევით მხატვრულ აზროვნებაში და, აქედან გამომდინარე, ღვთისმშობლის ხატ-სახის მხატვრულ სიტყვაში მეტი სიღრმისეული განფენით, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ ტანჯვის შემამსუბუქებელი და განმაქარვებელი მარიამ ღვთისმშობლის მფარველი კალთაა, რომელიც მუდამ იცავდა თავის წილხვედრ საქართველოს; აქვე გავიხსენოთ, რომ, გადმოცემის მიხედვით, საქართველოს მფარველის, ღვთისმშობლის წილხვედრილობის რწმენა მომდინარეობს იქიდან, როდესაც მაცხოვარმა თავისი მოციქულები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში

საქადაგებლად დააგზავნა, მარიამ ღვთისმშობელს წილად ხვდა საქართველო, მაგრამ ის არ წამოსულა საქართველოში, რადგან მისი მიძინების ჟამი მოახლოებულიყო. მან თავის ნაცვლად მაცხოვრის პირველი და უკანასკნელი მოწაფეები – ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი გამოაგზავნა; რადგან საქართველო მარიამს ხვდა წილად, ე.ი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო მისი წილი და ხვედრია და მასზე მან უნდა იზრუნოს, რაც გამოიხატა იმაში, რომ მარიამ ღვთისმშობლის ხატი საქართველოში ჩამოაბრძანეს, მის მიწაზე დაივანა და იმ დღიდანვე ქართველ ერს და მის სამშობლოს მფარველი კალთა გადააფარა.

აკაკი წერეთლის ბევრ ნაწარმოებში არის ხაზგასმა ღვთისმშობლის წილხვედრილობის იდეისა საქართველოს მიმართ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველთათვის. აკაკი წერეთელი დრამატულ პოემაში „პატარა კახი“ დიდი შთაგონებით, რწმენით გაძლიერებული, იმედით აღსავსე თავდაჯერებულია, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ერი არასოდეს მოკვდება და გადაშენდება. პოეტი პატარა კახის პირით აღნიშნავს:

„ღვთისმშობლის ხვედრი საქრისტიანო
რომ ამოვარდეს – სწორედ არ მჯერა!..“ (წერეთელი, 1977: 345);

მოხუცი ბრმა, გელად წოდებული, საგანგებოდ აღნიშნავს:

„არა, უფალი სულ არ გასწირავს
ღვთისმშობლის წილ-ხვედრ საქრისტიანოს!
მხოლოდ გამოსცდის, რომ შეცოდება
მან იგულისხმოს და შეინანოს!..“ (წერეთელი, 1977: 370).

ერისა და ქვეყნის განსაცდელი, ღმერთისაგან მოწევნილი, მხოლოდ ცოდვათა გათავისებისკენ არის მიმართული, რათა ადამიანმა გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი ცოდვა, რაც მას სხვადასხვა განსაცდელში აგდებს და მიუთითებს გაისიგრძეგანოს ის ხვედრი და მისია, რომელიც ღვთისაგან აქვს მინიჭებული და მისგან მიდრეკა, სწორი გზიდან გადახვევა ცოდვას ჩაადენინებს, დასაბამს სიკვდილისა და იავარქმნისა, ცოდვისაგან დასახსნელად კი ადამიანს ღმერთმა მიანიჭა შესაძლებლობა მონანიებისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სათნოება – გზა და საფეხური, რომელიც ადამიანმა უნდა განვლოს, კვლავ საღვთო გზას რომ დაადგეს, თავისი მოკვდავობა უკვდავების რწმენით აღავსოს, ისევ საკუთარი სატანჯველის შესამსუბუქებლად და სულიერი სიმტკიცის მოსაპოვებლად, სიცოცხლის დასაბრუნებლად, რათა ცხონდეს. სინანული სრულყოფს ადამიანის პიროვნებას წარმავალ წუთისოფელში „მუნ“ დასამკვიდრებლად.

ღმერთთან სიახლოვით კი სიცოცხლე იპოვნება და ბრუნდება ადამიანში დედა მარიამ ღვთისმშობლის წიაღში დავანებული წილობითა და მადლით; ცოდვილი სულიც ღმერთს ეკუთვნის, როგორც ვკითხულობთ პოემაში „თორნიკე ერისთავი“:

„... ზეცას ეკუთვნის
ცოდვილი სული და ჩემი თავი“ (წერეთელი, 1977: 159).

ამიტომ ისევ ზეციურობიდან, საღვთო წიაღიდან არის შესაძლებელი ცოდვათა მიტევება; ამქვეყნიურ სიბრძნესაც ღმერთი განაგებს, რასაც გვიდასტურებს დედოფლის სიტყვები პოემიდან „პატარა-კახი“:

„... მაგრამ სიბრძნესაც კი ეჭირვება
ზეცის თანხმობა და ღვთის კურთხევა“ (წერეთელი, 1977: 393).

პოემაში „ნათელა“ ნათელას თქმით:

მტრებს „ეგონათ თუ ქართლის ბედი
საუკუნოდ მიეფარა
და მომავალ სიცოცხლესაც
შავი მიწა მიეყარა!...“

სწორედ ამ ძნელბედობის ჟამს:

„რა იცოდნენ, რომ <u>მის წილხვედრს</u>
<u>დედა ღვთისა არ სწირავდა</u>
და ტანჯვაში გამობრძმედილს
მომავლისთვის იფარავდა!“ (წერეთელი, 1977: 199).

ღვთისმშობელი ითავსებს ღვთისგან ბოძებულ იმ ნათელ ძალას, რომელიც სამოთხისაკენ მიმავალ კარს უღებს ადამიანებს. მისი მფარველი კალთის მიღმა ღვთაებრიობაა დავანებული, რომელიც მიუძღვება ქართველ ერს ზეციურისაკენ მიმავალ აღმართზე, რამეთუ ეს გზა რთულია და ძნელად ასასვლელი... პოეტისავე სიტყვების დამოწმებით ლექსიდან „აღმართ-აღმართ“:

„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა...“ (წერეთელი, 1977: 30).

მარიამ ღვთისმშობელი ადამიანებს უძლიერებს რწმენას იმის შესახებ, რომ დაჰყვნენ ღვთის ნებას, რაშიც მათ ლოცვა-ვედრება თანაშეეწევათ.

ღვთისმშობლისადმი ვედრება ნათლად ჩანს პოემაში „ნათელა“ თვით ნათელას მიმართვაში. ვედრება ჩაისახა მას შემდეგ, როდესაც ნათელას იმედი გადაეწურა, ვერ იპოვა ის ადამიანი, საქართველოს დამცველი გმირი, რომელსაც დიდი ხანია ეძებს და მისი შეკერილი თეთრი ჩოხა მოერგება. აქვე აღვნიშნავთ, რომ აქ თავს იჩენს თეთრი ფერის სიმბოლო, თეთრი ფერი, რომელიც ნათელთან არის დაკავშირებული, ნათელს კი უმეტესწილად, „თეთრი გამოსცემს, რაც სიხარულის, სათნოე-

ბის, მოთმინების, სარწმუნოების, ღვთის პატივია...“ (ნოზაძე, 2004: 94), თეთრმა უნდა იხსნას საქართველო, როგორც თეთრ ცხენზე ამხედრებულმა წმიდა გიორგიმ სიბოროტე სძლია, სიბნელიდან ნათელში წარუძღვეს და გადაარჩინოს, რაც ჩადებულია ნათელას მიერ შეკერილ სამოსელში, რომლის მნიშვნელობა ღვთაებრივია, ამ სიმბოლოს არსი ძალიან ღრმაა და ტევადი, სამოსელშია არეკლილი ის მისია, რომელიც გმირმა უნდა აღასრულოს... გმირის ძიების პროცესში ნათელასთვის გამოსავალი ღმერთისადმი აღვლენილი თხოვნა-ვედრებაა, რის განხორციელებას ღვთისმშობლისადმი მიმართვით გამოხატავს უშუამდგომლოს ღმერთთან:

„დასთანხმდა ქალი, წამოდგა,
მიჰმართა დედაღვთისასა:
სთხოვდა მას შუამდგომლობას
და შემწეობას ძისასა!“ (წერეთელი, 1977: 207).

ლოცვით წართქმულ ვედრებაში გამოხატულია ცისა და ქვეყნის ერთიანობა, მათ შორის უწყვეტი კავშირი, რაც მშვენიერების განცდას იწვევს და სასოებას სახავს:

„ცა დედამიწას დაჰხარის
და ცას შეჰნატრის ძირს მიწა...
...
ქვეყანა აღტაცებული
უგალობს ქებათ-ქებასა
და ყვავილები სამსხვერპლოდ
უკმევენ სურნელებასა!..

არ სძინავს არცა ნათელას:
ხატის წინ მუხლმოყრილია,
ცრემლსა ღვრის სავედრებელსა,
მით სასოება ტკბილია!..“ (წერეთელი, 1977: 207).

ხატის წინ მუხლმოდრეკილი ნათელა ლოცვით წართქვამს სავედრებელს, ცრემლით და ტანჯვით გამოხატულს (აკაკი წერეთლისათვის ნიშანდობლივია ხატის წინ ლოცვით წართქმული სათქმელის გადმოცემა, რისი დამადასტურებელია მისი შესანიშნავი ლექსი „ხატის წინ“ და, ამავე დროს აღვნიშნავ, რომ ცრემლის სახე, სიმბოლო აკაკის შემოქმედებას ნათელ ზოლად გასდევს) ღვთისმშობლის ხატ-სახე იქცა ბნელში მანათობელი, სინათლის დამამკვიდრებლად და გზის მაჩვენებლად. ნათლის მოფენის ძალა და მადლი მას ძე-ღმერთის – იესო ქრისტეს შემწეობით მიეცა; ბნელში, სატანჯველში მყოფი საქართველო, ქართველი ერი ხსნისათვის შველას ღმერთთან ერთად ყოვ-

ელთვის ღვთისმშობლისადმი აღავლენს; ცოტნე დადიანი როცა გაიგებს თავისიანების მოსალოდნელი ხვედრის შესახებ, თვითონაც არ დანებდება მტერს და ნებაყოფლობით გადაწყვეტს თვითონაც წავიდეს მძიმე ბედის გასაზიარებლად ნოინთან ანის ქალაქში. ამ მძიმე მდგომარეობის დროს ცოტნეს აღმოხდება ტანჯვით შეზავებული სატკივარი:

„... რა შეგცოდეთ, ღმერთო, შენო, –
შენს მორწმუნეს, <u>ღვთისმშობლის ხვედრს,</u>
ამ სატანჯველს რომ უჩენო?“ (პოემა „ნათელა“) (წერეთელი, 1977: 219).

მორწმუნე, ღვთისმოშიშ ადამიანს მეტი განსაცდელი სდევს, მაგრამ გამოსავალი ისევ ღმერთის გზით სვლაა... ნოინის მიერ ქალაქ ანისში ქართველებზე მოწეული სატანჯველი ძალიან მძიმე იყო, რადგან გმირებს:

„... შორსა ჰყავთ ჭირისუფლები
და მათი დამტირებელი!..“ (წერეთელი, 1977: 222),

მაგრამ მათი ჭირისუფალი დედა ღვთისმშობელი იყო; და

„ჰკითხავს მტარვალი: „ვინა გყავთ
მომხრე და მოზიარეო?“
– ამქვეყნად ზღვა და ხმელეთი,
მაღლა ცა, მზე და მთვარეო!“ („ნათელა“) (წერეთელი, 1977: 222).

ქართველები მტერს მედგრად უპირისპირდებიან რწმენით, ღმერთთან თანაზიარნი რომ არიან და უფალი თანაშეეწევათ განსაცდელის დათმენაში; სწორედ დედა ღვთისმშობელთან თანაზიარობას, მისგან მფარველობას აგრძნობინებენ მტერს და არ შედრკნენ განსაცდელის ჟამს. ისინი მხოლოდ სასოებით იყვნენ გაჯერებულნი, სასოება კი ღმერთის რწმენით ებოძება ადამიანს... ნოინის შეთავაზებაზე რწმენას შეიცვლის, ოღონდ ნათელა ცოლად გაჰყვეს და, თუ უნდა ქართველები დაიხსნას მისი ტყვეობისაგან, ნათელას პასუხი ასეთია:

„– „ეგ არას უშლის! ღმერთი ხომ
ყველასთვის იგივ ერთია!
რჯული გზა არის სხვადასხვა,
იმ ქვეყნად შენაერთია!...“ („ნათელა“) (წერეთელი, 1977: 228).

ნათელა ნოინს გმირულ სულს აჩვენებს, მას მხოლოდ მისი სატრფოს – ცოტნე დადიანის გათავისუფლება უნდა, თუ არადა ისიც მისი ტანჯვის მოზიარე გახდება. ნოინი მიხვდება, რომ ქალი მარტო ვნებებისთვის კი არ შექმნილა, არამედ სხვა ციური უფრო მეტია მასში და ბოროტის მოსურნე ნოინი სხვაგვარი, სიკეთისაკენ მიდრეკილი ადამიანი ხდება, რაშიც წვლილი ქა-

ლის ღვთაებრივი ძალმოსილების შედეგია. ნოინმა:

„იგრძნო რაღაცა ციური,
მიუწდომელი მან ძალა!..
გარდიქმნა მისი არსება,
ბუნება გამოეცვალა“ (წერეთელი, 1977: 229).

ადამიანის სახის გამოცვლაზე მინიშნებაა პოემაში „თორნიკე ერისთავი“, როდესაც თორნიკეს შესთავაზებენ ჯვარის სანაცვლოდ ხმლით და ფარით აღიჭურვოს, რადგან ამ შემთხვევაში კეთილი საქმე ასე ითხოვს; ღმერთის განგებით განსაზღვრული საქმე სასიკეთოა, მის დიდებასაც კეთილი საქმე უნდა ვუძღვნათ, – მიმართავენ თორნიკეს:

„... და ეს ძღვენია კეთილი საქმე,
ქრისტიანობის სვეტიცხოველი,
...შეიბ მახვილი და გარეგნობით,
დროს შესაწონად, იცვალე ფერი
და გამოიხსენ განსაცდელისგან
ქრისტეს მმოსავი ბერძენთა ერი!“ (წერეთელი, 1977: 163-164).

თორნიკე გარეგნული აღჭურვილობით შეიცვალა, თორემ სულიერებით ისევ ქრისტიანობის, როგორც სვეტიცხოველის დამცველი და მქადაგებელი იყო; სწორედ ამქვეყნიურ კეთილ საქმეთა განხორციელებაში ჩანს ადამიანის ღვთაებრიობასთან მიახლოებული მადლმოსილი სახე.

ღმერთის შემწეობით, მისი მადლის გადმოსვლით, მაღალი სულიერებაა დასადგურებული ნათელას მხატვრულ სახეში, რომლის ღვთაებრიობამდე ამაღლებული ძალმოსილებით სხვა რჯულის მქონე ადამიანის, მარიამ ღვთისმშობლის მადლთან ნაზიარები ქართველისადმი მტრად გადაქცეული ადამიანის ბუნებაც კი იცვლება სიკეთისაკენ მიდრეკილი. და ნოინის ენით პოეტი წერს:

„და უმაღლესის სურვილით
შეჰყურებს, როგორც ღვთაებას!...
...
სთქვა: „საქართველოს მფარველი
დიდი ყოფილა... ძლიერი!
სადაც შობილხარ, გაზრდილხარ,
რათ უნდა გაქრეს ის ერი?!“ („ნათელა“) (წერეთელი, 1977: 229).

მარიამ ღვთისმშობლის კურთხევით და მისი მფარველი კალთის მადლით ერი თავს აღწევს მტერს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ღვთისმშობლის მფარველობის იდეასთან ერთად აკაკი წერეთელი გარკვეულ ადგილს აკუთვნებს „ბედს“, მის წი-

ნასწარგანსაზღვრულობას, როგორც პოემა „ვეფხისტყაოსანში“, სადაც უშუალოდ ბედი ნახსენებია პოემის ეპილოგში:

„რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი“ (1586, 3).

აკაკი წერეთელი ძელბედობის ჟამს, რაც ნაჩვენებია პოემაში „ნათელა“, ბედს მიმართავს და მის ძალაზე ამახვილებს ყურადღებას:

„ძალმომრეობის კანონი
დღეს ერთი არის, ხვალ სხვისა...
ბედია მომნიჭებელი
წყალობის, გინა რისხვისა!“ (წერეთელი, 1977: 231-232).

ღმერთის განგებასა და ძალაზე აკაკი წერეთელი ყურადღებას მიაპყრობს დრამატულ პოემაში „თამარ ცბიერი“, სადაც გოჩა მგოსნის დახმარებით პოეტი აღნიშნავს:

„ღმერთო ძლიერო, კურთხეულ იყოს
შენი ძალა და შენი განგება!
შენა ხარ ჩვენი გულთამხილავი,
შენ გშვენის ქვეყნის ქებათაქება!“ (წერეთელი, 1977: 271).

სოლომონ ბრძენის „ქებისა ქებათაჲსას“ ხშირად მოიხმობს აკაკი თავის შემოქმედებაში, ლექსიც კი აქვს მისი ანალოგიით დაწერილი დასათაურებით „ქებათა-ქება“, რომელიც ცალკეა გასაანალიზებელი. აქ მხოლოდ აღვნიშნავ, რომ პოეტი, უპირველესად, ყურადღებას ამახვილებს საღვთო სიყვარულზე, რომელიც შემოქმედმა უბოძა ადამიანებს ძე-ღმერთის იესო ქრისტეს დახმარებით, რაც თითოეულ ადამიანში განხორციელდა ისევ ღმერთის სიყვარულის წყალობით, მარიამ ღვთისმშობლის შემწეობით და მადლით, მისი მფარველობით, რამეთუ მისი მეოხების გარეშე ვერ განხორციელდებოდა ქართველი ადამიანის მიერ სიბოროტის ძლევა, სიკვდილის დათრგუნვა, რომელიც იესო ქრისტემ თავისი ჯვარცმით, ე. ი. კაცთა სიყვარულით დაამოწმა, რაშიც დამხმარე ძალად სწორედ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრილობა, მასთან მოზიარეობა იყო.

აკაკი წერეთელი საგანგებოდ მიანიშნებს ღმერთისაგან კურთხევის ძალას, რაც გამომხატველია იმისა, რომ მისი განგების, ნების გარეშე ყოფიერება შეუძლებელია, ის დავანებულია ადამის მოდგმის არსებაში, ღმერთი ანიჭებს სიყვარულს, რომელიც ადამიანს უნერგავს იმედის რწმენას და აძლევინებს წუთისოფლის მძიმე ხვედრს. ადამიანის ბნელით, უსიყვარულო ელფერით შეზავებულ ცხოვრებას ღმერთის სიყვარული ჰფენს ნათელს:

„კაცის ქვეყნიურს ბნელსა საქმესა
მაღლით ციური აფენდა ნათელს“ („თორნიკე ერისთავი“)

(წერეთელი, 1977: 182). „შუამდგომელ იქმენ ღმრთისა და კაცთა, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შენ მიერ განვერენით ბნელისაგან ღამისა წყუდიადისა, და ღირს ვიქმნენით ნათელსა მამისა შენისასა“ (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 1971: 70); აქვე: „განამტკიცენ, უფალო, გონებანი ჩუენნი ნათლითა მით დაუღამებელითა...“ (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 1971: 89).

ქართველი ერი ღმერთის თანადგომით, ღვთისმშობლის მფარველობით იობივით დაითმენს განსაცდელს და საცთურს გაუმკლავდება:

„დღეს მოხარკე ვართ ჩვენ თქვენი
და კიდეც ვიხდით ნებითა...
დროს ვუცდით... ჩვენს ღმერთს შევყურებთ
იობის მოთმინებითა“ („ნათელა“) (წერეთელი, 1977: 232).

შველას ღმერთისაგან მოელოდნენ, ხსნაში დიდი იყო ღვთისმშობლის ძალა, რომელიც ქართველ ერს მომავალი არსებობის რწმენას და მარადიული სიცოცხლის მინიჭების იმედს უსახავდა:

„ – „ღვთისგან!... რომ ჩვენმა შვილებმაც
ქვეყნისთვის სისხლი ღვაროსა!“
„ჩვენ წავალთ, ისინი მოვლენ
ტურფასა საბაღნაროსა!... („ნათელა“) (წერეთელი, 1977: 232).

დამოწმებული სტროფის მესამე და მეოთხე სტრიქონი იმეორებს შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ფრაზას:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“ (35, 2-3),

სადაც გადმოცემულია სიკვდილისა და სიცოცხლის, არსებობის მარადცვალებადობისა და მარადმედინობის შეუცვლელი კანონი, რომელსაც მთელი სამყარო ექვემდებარება, რამეთუ მუდმივ ცვალებას, განახლებას და სიცოცხლეს ეზიაროს; ეს თვალსაზრისი მსჭვალავს აკაკი წერეთლის პოემის აღნიშნულ სტრიქონებსაც, რომლის ანალიზი პოემა „ვეფხისტყაოსანთან“ კავშირში სხვა ნაშრომში იქნება გაანალიზებული. აქ მხოლოდ დავამატებ, რომ აკაკი წერეთელი ქართველი ერის უკვდავებას, მის მარადიულ სიცოცხლეს გახაზავს, რომელიც ღმერთმა მიანიჭა ღვთისმშობლის დახმარებითა და თანაშეწევნით.

აკაკი წერეთელი ლექსში „ქართველი ქალი“ ქალის, დედის მხატვრულ სახეს წარმოაჩენს შვილისა და მამულის სამსხვერპლოზე გაწირულს. როგორც მარიამ ღვთისმშობელმა იხილა თავისი ძე – იესო ქრისტე ჯვარზე გაკრული, ასევე ქართველი ქალიც სწირავს თავის ორ შვილს მამულის საკეთილდღეოდ. ქართველი დედა, პირჯვრის გარდასახვით, რომელიც ლოცვის

გამოვლინებაა, ქართველ ერს შემდეგნაირად მოიხსენიებს:

„მადლი ზენა ქართველებსო!“ (წერეთელი, 1977: 48).

მოტანილი ფრაზის მიხედვით, ქართველი ერი ზეცამდე ამაღლებულად, ღვთიურად არის შეფასებული, ე. ი. ქართველი უფლისგან ხელდასხმულია, კურთხეულია, ამიტომ მას მტერი იოლად ვერ მოერევა; ქართველმა ქალმა, ღვთისმშობლის ანალოგიით ბევრი ტანჯვა, განსაცდელი ნახა და დაითმინა, მაგრამ საკუთარი მზერა შორს გზისაკენ, ღმერთისაკენ მიმავალ გზას მიაპყრო, რაც მომასწავებელია ადამიანის ღმერთისაკენ კვლავ მიბრუნებისა, მასთან მისაახლებლად გზის ჩენაა, დაკარგული საღვთო სიყვარულის აღდგენაა, რამეთუ ასე უნდა დაიძლიოს „შავბედითი შავი ყორანი“. ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვების პერიფრაზირება აკაკის ამ ლექსშიც არის დადასტურებული:

„... შავბედითსა ყორანს შავსო!“ („ქართველი ქალი“) (წერეთელი, 1977: 47).

დედა ღვთისმშობლის მსგავსად დათმენა მოკვდავი ადამიანის ჭირის განმეორება და დადასტურებაა უფლის გზის, სწორედ უფალმა დაუსახა ადამიანს ჭირი, მძიმე ჯვრის ტარება და სისხლის დაღვრა, მაგრამ სისხლის დათხევა ისევ ცოდვათა მისატევებლად და კვლავ განსაწმენდად. მოვიშველიებ ერთ-ერთ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას, კერძოდ, იაკობ ხუცესის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“: წამების შემდეგ შუშანიკს სისხლი ჩამოსდის და იაკობი სთხოვს დედოფალს სისხლი ჩამობანოს, მაგრამ წმიდანის პასუხი ასეთია: „ხუცეს, მაგას ნუ იტყჳ, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთაჲ“ (ძეგლები, 2008: 178).

ღმერთისა და მარიამ ღვთისმშობლის კალთის ქვეშ დაფარულმა სამშობლომ ერის დაცვა უნდა განახორციელოს, მან უნდა უმფარველოს ამქვეყნადაც და მარადიულ ზესივრცეშიც, ცოცხალიც და მკვდარიც მისი წილია, მისი განუყოფელი ნაწილია. აკაკი წერეთელი ლექსში „განთიადი“ წერს:

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც
ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო!..
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“ (წერეთელი, 1977: 79).

მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოც უმფარველებს შემოქმედს, რადგან სამშობლოც ხომ „ზე კალთის“ მატარებელია, ზეციურია, უსაზღვრო, მარადიული, იდუმალი, როგორც ცა და იქ დავანებული ღვთაება, რომელიც წუთისოფელს მუდმივად განახლებულ, სიცოცხლით სავსეობას განსაზღვრავს და განაგებს... ადამიანი ამ წუთისოფელშიც და იმქვეყნადაც ღმერთის საფარველით არის მოსილი. მარიამ ღვთისმშობლის კალთა ქართველი ადამიანისათვის ქრისტიანობის, უმაღლესი სულიერი წიაღის მატარებელია, რადგან მის წიაღში განთავსებული წარმავლობა უზენაესს არის ნაზიარები და მარადსიცოცხლის რწმენით აღავსებს; ისევ ღმერთის სიყვარულის წყალობით და სიცოცხლის წყურვილით მიწას უერთდება, რადგან ამით სულიერი სიცოცხლის მეშვეობით შეუერთდეს შემოქმედს, რომელმაც შვა სიცოცხლის გადასარჩენად.

მარიამ ღვთისმშობლის მადლით კურთხეულია ქართველი ერი: „ვითარცა ჭეშმარიტად ღმრთისმშობელი ხარ, ყოველნი მორწმუნენი გიგალობთ შენ, რომელმან უთესლოდ მუცლად-იღე მოწყალჱ და გჯშევ ჩუენ ჴორცითა განუყოფელი ღმრთეებაჲ ორითა ბუნებითა მჴსნელად ჩუენ განწირულთა“ (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 1971: 87); „ადიდე შენ, მაცხოვარ, ღმრთისმშობელი, რომელმან გშვა შენ, რომლისა მიერ მჴსნელმან ჴორცნი შეისხნა, რომლითა მიჴსნა ჩუენ, ვითარცა სახიერმან ღმერთმან, ცოდვათა ჩუენთაგან. ჩუენ ყოველნი ვჰნატრით მას, და შენ მხოლოსა გალობით გადიდებთ“ (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 1971: 86).

აკაკი წერეთლის შემოქმედება, განსახილველი საკითხის თვალსაზრისით, ამოუწურავია, მხოლოდ ერთი-ორი ნაშრომი ვერ იტვირთავს იქ თქმულის ამოკითხვას და გააზრებას, მაგრამ მცირეოდენ წვლილს კი შეიტანს მისი საღვთისმეტყველო ჭრილში წაკითხვისა და შესწავლის საქმეში. მის მხატვრულ ნააზრევში გაცოცხლებულია საქართველოს და ქართველი ერის მუდამ მფარველის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატსახე, რომლის შემწეობით და თანადგომით ქართველი ადამიანი უმკლავდებოდა მრავალ განსაცდელს, გაუძლო საუკუნეებს და სამარადისო ცხოვრების მკვიდრობის შესაძლებლობის რწმენით გაძლიერდა, რაშიც ქართული მწერლობის ნიმუშებმა, ბიბლიასთან ერთად, უდიდესი როლი შეასრულა ადამიანის ცნობიერების სხვაგვარად ჩამოყალიბებაში და უკეთესი გზის დასახვის საქმეში.

დამოწმებული ლიტერატურა:

ახალი აღთქუმაჲ, 1963 – ახალი აღთქუმაჲ, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, ტფ., 1963.

ბეზარაშვილი, კული, 2000 – ბეზარაშვილი ქ., კული ბ., „მაყვლოვანის“ გაგებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XXI, თბ., 2000.

დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, 2000 – დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხარებისადმი მიძღვნილი საკითხავები ქართულ საეკლესიო ტრადიციაში, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XXI, თბ., 2000.

ელაშვილი, 2000 – ელაშვილი ქ., ღვთისმშობლის სიმბოლური სახე და ადრეული პერიოდის ქართული ჰაგიოგრაფია, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XXI, თბ., 2000.

თეიმურაზ პირველი, 1934 – თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1934.

ლოლაშვილი, 1978 – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1978.

მახარაშვილი, 2000 – მახარაშვილი ს., სადღესასწაულო ჰომილიათა თეოფილესეული თარგმანები, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XXI, თბ., 2000.

ნოზაძე, 2004 – ნოზაძე ვ., „ვეფხისტყაოსანის“ ფერთამეტყველება, ტ. I, გურამ შარაძის წინასიტყვით, გამოკვლევითა და რედაქციით, თბ., 2004.

სირაძე, 1997 – სირაძე რ., „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა, თბ., 1997.

ქართული პოეზია, 1979 – ქართული სასულიერო პოეზია, ტ. I, თბ., 1979.

შოთა რუსთველი, 1966 – შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ აკ. შანიძისა და ალ. ბარამიძის გამოცემა, თბ., 1966.

ძეგლები, 1963 – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-Xსს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1963.

ძეგლები, 2008 – ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ორიგინალური ტექსტები და ახალი ქართული თარგმანები, ტ. I, რედ. ლ. აბაშიძე, თბ., 2008.

ძველი მეტაფრასული კრებულები, 1986 – ძველი მეტაფრასუ-

ლი კრებულები (სექტემბრის საკითხავები), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნ. გოგუაძემ, თბ., 1986.

ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 1971 – ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ელენე მეტრეველის გამოცემა, თბ., 1971.

წერეთელი, 1980 – წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980.

წერეთელი, 1977 – წერეთელი აკ., რჩეული ორ წიგნად, წიგნი I, ლექსები, პოემები, თბ., 1977.